

პატრიარქის ლოცვანი

ჰოი, ღმერთო, სამებათ წმიდაო, ერთაწსო და განუყოფელო, დიდება და მადლობა შენდა. ლეთივკუთხეულთ მამულო ჩვენო საქართველო, უდაბნოსა შინა ყვავილო დაუჭკნობელო, ტაძარო სამებისათ, კლიტე დავითისათ, მახვილო მესიისათ, ადიდე ღმერთო და იხაზე მარად.



ყოვლადწმიდაო სამებათ, უფალო დიდება შენდა! მამათ, ძეთ და სულო წმიდაო, დალოცე, გააძლიერე და გაამთლიანე სრულიად საქართველო და ეკლესია ჩვენი. გევედრები, ჰყავ ტაძარი ესე და საქართველო ტანტად და სამკვიდრებელად შენდა, ხოლო ერი ჩვენი – სამწყსოდ შენდა. ამინ!



სამებათ დაუსაბამო, მამათ ძეთ, და სულო წმიდაო დიდება შენდა ყოვლადწმიდაო სამებათ, შემოქმედო ცათა და ქვეყანისათ, სიმატლითა და მოწყალებითა განმგებელო ყოველთა დაბადებულთათ, – მადლობა შენდა. შენ გიგალობო, შენ გაკუთხევეთ და

მარადის თაყვანისგცემთ შენ სამწმიდათ ერთაწსებათ მამათ, ძეთ, და სულო წმიდათ, უფალო უფლებათათ, ღმერთთ ძალათ და გვედრებით შენ, სიყვარულო და სასიკეთო ჩვენო, „გარდამოხილვე ზეცით და იხილვე და მოხედვე ენახსა ამას და დაამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენემან შენმან. ამინ.

*(სამების საკათედრო ტაძარი, მდაბალი ო ლ ო ა II
2000 წ. ნატზე მინაწერი)*



მამათ ჩვენო, – დიდება შენდა!
 ძეთ ღმერთისათ, – დიდება შენდა!
 სულო წმიდათ, – დიდება შენდა!
 ყოვლაღწმიდათ სამებათ, ერთაწსებათ, შემოქმედო და განმგებლო თქსავე სამყაროსათ, – დიდება შენდა!
 ვითარ ვთქვა ქება მე უღიწმან და გლახაკმან შემკობად შენდა; გონება ჩემი და გული ჩემი ვერ შემძლებელ აწს გამოთქმად დიდებისა შენისა. გარნა გვედრი, მიითვალე იგი, ვითარცა უმეტარი სიტყუა ყრმისა მშობლისა მიმართ. ბავითა ჩემითა მით ცოდვილითა, ღმერთთ ჩემო, შენ შეგლადლებს ერი ჩემი, შენს მიერ შეყვარებული.
 უფალო ჩემო, შენ გიგალობენ სერაფიმნი და ქერუბიმნი, მთა-

ვარზანგელთზნი და ანგელთზნი, ურიცხვნი ძაღნი ზეციურნი. მე რა ვთქვა, როგორ შეგასხა ქება? ან რა საქმენი გიჩვენო; თლეს ღვაწლითა თვისითა განბრწყინდენ წინასწარმეტყველნი, მოციქულნი, მოწამენი, მღვდელთმთავარნი, ღიძსნი მამანი და ყოველნი სხვანნი წმიდანნი შენნი?

ვითარ სახელ გსდგა? აზა ვუწყი. დამიდუმდა ენა ჩემი წინამედიდებისა შენისა. ვიცი თლენ, რომ ჩვენთანა ხარ და აზა განგეშობები, რომ ხარ დაუსაბამო და უსასრულო სიყვარული, რომ თბილა შენთან და გარეშე შენსა აზა არს ცხთვრება ჩვენი.

წმიდაო, წმიდაო, წმიდაო, უფალო საბათო, სავსე არიან ცანი და ქვეყანაი დიდებითა შენითა! დიდებაი შენი, ვითარცა სიყვარული შენი, დაუტყველო შენში, ეფინება ყოველსა ქმნულსა შენსა. და ჩვენც მდაბალნი ზიარებულნი მადლსა შენსა დიდებისასა ვმადლდებით უფალო, ვიწმინდებით, მამათ ჩვენო.

მსგავსად წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე თქრობიზისა, მე, ცოდვილი მონა შენი, ილია II, ყოველთა ქართველთა სახელით ვხმობ: „დიდება და მადლობა შენდა ყოველისათვის“ გადიდებ შენ, რომელი ყოველგან ხარ, რომელი ხარ ჩვენთან და რომლისა წიაღშიც ვართ ჩვენ, გადიდებ შენ, რომელმან სავანედ თვისსა აგვიჩრეო გული ჩვენი და მუნითგან გვსწავლი და გვწვრთნი, ვითარცა ასწავებდი მთეს და ელიას ქორების წმიდასა მთასა ზედა.

გაღიღებ შენ და გმადლობ შენ, მოწყალეო, რამეთუ გვექმენ მსგავსად შენდა, რამეთუ მოგვანიჭე ენა ქართული და რწმენა ჭეშმარიტი, სიყვარული ღმრთისა და სიყვარული მოყვასისა, მოგვეფინენ ნათელი გონებისა და ჭეშმარიტებაი მეცნიერებისა!



ღიღება შენდა მამა ზეცათათ

ღიღება შენდა;

ღიღება შენდა ძეო ყოვლად ძლიერო

ღიღება შენდა;

ღიღება შენდა სულთ ყოვლადწმიდათ

ღიღება შენდა;

ღიღება შენდა უფალო, უფლებათათ, ერთაზსებათ და განუყოფელთ წმიდათ სამებათ, სასთებათ, სინაზულთ და ნუგეშთ ჩვენთ, გვედრებით შენ ცხოვართა შენთა და შეწყნარებად მონაზულთა; გზადით შენ, სულგრძელთ და ძვირუხსენებელთ, რომელი აზა მიაგებ ბოროტსა ბოროტისა წილ. წინაშე შენსა მივიდრეკეთ მუხლთა სულისა და ხორცთა ჩვენთასა, აღვიარებთ უსჯულთებათა ჩვენთა და ვითხოვთ, დიდითა წყალობითა შენითა, შეგვიხდევ ჩვენთა და ჩვენთა წინაპართა ცოდვანი, მოგვიტყევე: შენგან განდგომაი, უღმერთობეაი, ამპარტყავენებაი, ტაძართა და ეკლესია-მონასტერთა

ბბევა და ნგრევაი, ბერძმონაზონთა, სამღვდელოთა და ერისკაცთა მოწყვეტაი, გვაპატიე ძმათა სისხლისღვრაი, ღალატი, მკვლელობანი და ბოროტმოქმედებანი, აზაწმიდა ფიქრი და გზძნობანი, ვერცხლისმოყვარებანი, პატივმოყვარებანი, სიძვაი, მრუშებანი, ქუზღობანი, უზრუნველობანი, შურისძიებანი, გემოთმოყვარებანი, სიცრუე, სიძულვილი, შური, დიდებისმოყვარებანი, ულოცველობანი, უმარნულობანი, უქმმეტყველებანი, უბირობანი, წყევლაი, უმადურობანი, მუკლადღებულ ჩვილთა მკვლელობანი, ნელთბილ საწწმუნოებანი და მზავალნი სხვანი უსჯულთებანი.

ჰე, უფალთ ცოდვათა ჩვენთა ზღვა აღძრულ აზს და დანთქმას ჩვენსას ესწრაფვის, გარნა სახიერო, შენ წინაუსწრე ბოროტთა ყოველთა განზრახვასა და საქმესა მათსა საეშმაკოსა, შეახე ყოვლადწმიდა ხელი შენი სულსა და ხორცსა ჩვენსა და გულსა და გონებასა ჩვენსა და გასწმიდე ივინი. მოგვეც მონყალეთ, შეუორგულებელი სიყვარული ღვთისა და მოყვასისა, სიბზძნე, სიმშვიდე, სიმდაბლე, სინაზული, განცდაი თვისთა ცოდვათა და ძალი შენი გზით დაუბზკოლებელი სვლისა. ყოვლისა მპყრობელთ, განხეთქე საკვერელი უჩიციხეთა ბზალთა ჩვენთანი და აღგვაფსე მადლითა შენითა. შთაგვაცვი სამოსელი სპეტაკი ნათლისღებისა შენისა, შეგვარტყი ძლიერებანი შენი, განანათლე თვალნი გულისა ჩვენისანი და სულისა ჩვენისა სანთელი განაბრწყინვე.

ჩვენ მონანი ცოდვისა – და შენ მეუფე და ღმერთი ყოველთა, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა. აზა სძლიოს ცოდვათა ჩვენთა სიმბავლემან შენსა სახიერებასა და უფსკრულსა წყალობისასა. მწყემსო კეთილთ, რომელმან გვზარდე, გვასწავლე და გვწუთონე წელნი ათასეულნი და მზავალთა განსაცდელთაგან გვიხსენ, აწცა მოგვხედენ მოწყალეებითა.

შეჭირვებულნი გვეედრებით, აღადგინე და განამტკიცე საზღვარნი საქართველოსანი, დაიცვე ყოველი მკვიდრი მიწისა ამის. მტერნი და მბრძოლნი ჩვენნი მოყვარედ მოაქციენ; მშვიდობა და კეთილდღეობითი ცხოვრება მოგვანიჭე. მერმეტა გვეედრებით, რათა მამულსა ამას შენ მიერ ბოძებულსა შეგვკრიბო ყოველნი ქართველნი, გაგვაერთიანო ერთ ძლიერ საქართველოს სახელმწიფოში და ერთ ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიაში, რათა იყოს ერთ სამწყსო და ერთ მწყემს. და კვალად ვნობთ: შეგვიხედვე ღმერთო, განგვიძინდე და გვაცხოვნე, შეუნდე ჩვენთა წინაპართა და ნათესავთა და სულნი მათნი და სულნი სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მომწყდართა ყოველთა მართლმადიდებლობით აღსრულებულთა სავანესა მართალთასა დააწესე და წიაღსა შინა აბრაამისასა განუსვენე. უფალთ ჩვენთ გულთმეცნიერთ, მამათ მოწყალეებისათ და ღმერთთ ნუგეშინისცემისათ, შეიწირე ჩვენ ცოდვილთა ვედრება და შეგვიწყალებ მეთხებითა ყოვლადუზრწნელისა, დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და პატრიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისათა,

შუამდგომელობითა მთავარანგელოზთა და ანგელოზთა, მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, მღვდელთმთავართა, მთწამეთა ღიზსთა მამათა და დედათა, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა და ყოველთა წმიდათა, ზათა უზრცხვენელად წარვსდგეთ წინაშე შენსა და ვადიდებთ მამასა, და ძესა, და წმიდასა სულსა, აჲ, და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!



უფლისადმი სავედრებელი ლოცვა გავრცეებისათვის
(ლოცვა შესრულდა სიონში 1997 მუხლმოყრით)

ღმერთო მოწყალეო, მამათ და ძეთ, და სულთ წმიდათ, შენ შეიტკბე, აკურთხე და კეთილად აღზარდე ბავშვები ჩვენი. მოანიჭე მათ საძწომუნთება მტკიცე, ზამეთუ გარეშე საძწომუნთებისა შეუძლებელია ცხთვნება. უფალო და მეუფეო, შენ ხარ სრული და უზენაესი სიყვარული, დაჰნერგე გულთა შინა მათსა სიყვარული შენი, სიყვარული მამულისა, სიყვარული მშობელთა, სიყვარული მოყვასისა. აღავსე ჩვენი ერის მომავალი სულიერი და ფიზიკური ძალითა, მოჰმადლე მათ ნიჭი სწავლისა და სიყვარული წიგნისა, მოანიჭე მათ სასთება, თავმდაბლობა, მოზრდილება და სიწმინდე, ზათა იქმნან ჭაძარნი სულისა წმიდისა. ნათელთ ნათლისაგანო, ღმერთო მაცხთვართ ჩვენო, შენ ხარ ნათელი ქვეყნისა, შენ ხარ

გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. შენ ატარე ჩვენი შეილები სიწმიდიდსა და სიმატლის გზით, რათა გმიზიერი სულით აღვსილნი, გულანთებულნი მამულის სიყვარულითა, გახდნენ ღირსნი მარადი-ული, ნეტარი ცხოვრებისა. აკურთხე ივინი დღეგრძელობითა, ადავსე მოშვიდობითა და სინარულითა, რათა იხილონ მათ შეილნი და შეილთა შეილნი თვისნი. ამოტე მტერი კაცთა ნათესავისა და მოუვლინე ანგელოზნი მფარველნი, მეტნებითა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯგვარისა, მეტნებითა წმიდათა მთავარანგელოზთა და ყოველთა ზეციურთა ძალთა, ლოცვითა წმიდათა წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მღვდელმთავართა, მოწამეთა, უვერცხლოთა მკურნალთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა და დედათა, შუამდგომელობითა წმიდისა დედისა ჩვენისა ნინო ქართველთა განმანათლებელისა, წმიდისა დიდისა მოწამისა, ძლევაშემოსილისა და საკვირველმოქმედისა გიორგისათა და წმიდისა დიდებულისა ქალწულმოწამისა ბარბარესითა და ყოველთა რწმენისა და მამულისათვის წამებულთა და თავდადებულთა მეტნებითა.

ღმერთო ძლიერო, შენ აცხოვრე ერი ჩვენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი!

ამინ!



ღვთისმოთხმობისადმი

ღედათ ღვთისაჲ, გარდამოხილე ჩვენზე და გვაჯობენე ჩვენ! ყოვლადწმიდათ ღვთისმშობელთ, პატრონთ ივერიისათ, ბრწყინვალე ვაზსკვლავთ ცისკრისათ, მზეთ ქვეყნისათ, აღმატებულთ ანგელოზთათ, შემწეთ ყოველთა დაგზავნილთა და შეჭირვებულთათ, მამისაგან უფლის ღედად გამოტრეხულთ და მფარველთ თათაჲ სოფლისათ, მოწყალე თვალით გარდამოხედე შენს წილხვედრ ქვეყანას – საქართველოს და უზიჯებ ცოდვათა ჩვენთა შენდობაი შესთხოვე ყოვლოდწმიდასა სამებასა – მამასა, ძესა და სულსა წმინდასა. წყალობითა შენითა კვალად აღგვადგინე, მშვიდნი დააბურე, შიშველნი შემოსე, საბყრობილესა შინა მყოფნი განათავისუფლე და სიძარბოს გზაზე დააყენე, უძლურნი განკურნენ, მჭირალთ ნუგეში ეც, ჭაბუკთა და ყრმათა სიმნე მიეც და სულიერად აღამაღლე, ასაკოვანნი სიბრძნით აღავსე და მათი შთამომავალნი კეთილდღეობით გაახარე.

ღედათ მოწყალეთ, მოგვეც სიმტკიცე ჭეშმარიტი ზწმენისა, სასთება, შიში ღვთისა და შეუთრგულებელი სიყვარული ეკლესიისა და მოყვასისა, ერთგულება მამულისა და ქართული ენისა. მოგვმადლე გული წმიდა და სული წმინდი გონება მახვილი და

ღმმა, სხეული ჯანსაღი და უვნებელი; განამტკიცე თჯახები ქართველთა და აკურთხე ისინი შვილთა სიძარტლითა, აღავსე ბელენი ჩვენნი პურითა და ვენახები ჩვენნი – ყურძნითა, განამრავლე მოსავალი მიწისა და მონაგები პიზუტყვთა.

ღვთისმშობელთ დედათ, შეცთომილნი ძენი და ასულნი ივერისანი ჭეშმარიტების გზაზე დააყენე, უცხოეთში მყოფნი ქართველნი სამშობლოში დააბრუნე, მტრადმოსულნი უცხო ტომნი ჩვენს უვნებლად თვისავე ქვეყანასა შინა განაწესე, ხოლო ჩვენ მკვიდრთა საქართველოისათა, მოგვეც ძალი ურთიერთთანადგომისა, რათა მწუხარეთა თანა ვტიროდეთ და შევეწეოდეთ მათ, ხოლო მხიარულთა თანა ვინაროდეთ.

ღედათ მარიაძე, ერი ქართველთა, მთავრობა და ეკლესია ჩვენი სულიერად შეკარ და აღდგენილსა მამულსა შინა ჩვენსა ერთ განუყოფელ სამწყსოდ ღვთისად დაადგინე; ტაძრად შენდა ჰყავ საქართველო და ხილულ და უნილავ მტერთაგან კეთილსურნელიათა მახვილითავე მარად დაიცავ. მერმეცა გვედრები, რათა შეეწიო მართლმადიდებლობით აღსრულებულთა ჩვენთა ახლობელთა და წინაპართა და სულნი მათნი შენის მეტებით სავანესა მართალთასა დააწესე. განუზომელია წყალობა შენი ჩვენ ზედა, ღვთისმშობელთ დედათ, დიდებასა და მადლობას გწირავთ შენ, მეოხნო ჩვენო, შენ ფეხნთა ქვეშ განვაფენთ გულთა ჩვენთა და კანდლად

აღვინთებთ ლოცვასა ჩვენსა, ზეცისა სასუფეველიდან ვიდრე საქართველომდე, ვითარცა ფიანღაზსა დაგიფენთ სიყვარულსა ჩვენსა და მთელისა ქვეყნის ყვაფილებით განვამშვენებთ მას. მუხლმოდრეკით შეგთხოვთ, არ განგვმოძრდე არცა ჟამსა მას მეორედ მოსვლისა ძისა შენისასა და სრულიად საქართველო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მარჯვენით დაადგინე, რათა შენთანა ვინარებდეთ და ვადიდებდეთ დამბადებელსა ჩვენსა, ყოველთა შემწყნარებელსა და დაუსრულებელსა, მამასა, ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.



ლოცვა ზეციურ ძალთა მხელარქიმთავრის მთავარანგელოზ მიქაელისადმი

უფალთ ღმერთთ ძლიერთ, მეუფეთ დაუსაბამოთ, წარმოგზავნე მთავარანგელოზი შენი მიქაელი შეწევნად მონისა შენისა (სახელი) რათა მიხსნას მე ხილულ და უნილავ მტერთაგან.

ჰთი, დიდო მთავარანგელოზო უფლისათ მიქაელ, ემბაკთა შემ-
მუსვრელო, შეჰკარ ყოველნი მბრძოლნი ჩემნი და აღხოცენ იგინი
პირისაგან მიწისა.

ჰთი, დიდო მთავარანგელოზო უფლისათ მიქაელ, უპირველესო
ექვსფრთთაგან დიდებულთა შორის ზეციურ ძალთა, ქერუბიმთა და

ყოველთა წმიდათა ზესთამბრძოლო;

ჰთი, საკვირველო მთავარანგელოზო მიქაელ, იღუმალო, მეყავნ მე შემწედ ყოველთა განსაცდელთა, ურვათა და მწუხარებათა შინა. უდაბნოთა, წყალთა და ზღვასა მყოფსა მექმენ მშვიდ ნავთ-საყუდელად.

დიდო მთავარანგელოზო მიქაელ, განმთავისუფლე ეშმაკის საც-ღუთთავან და შეისძინე ხმა ცოდვილისა მონისა შენისა (სახელი), რომელი ვლადადებ და მოვინმობ სახელსა შენსა წმიდასა მსწრაფლ შემეწიე და შეიწყნარე ლოცვა ჩემი.

ჰთი, დიდო მთავარანგელოზო მიქაელ სძლიე ყოველთა წინააღმდეგობთა ჩემთა ძალითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისა უფლისათა, ლოცვითა ყოვლადწმიდისა, უბრწუნელისა ღვთისმშობელისა, ყოველთა წმიდათა მთავარანგელოზთა და ანგელოზთა. შუამდგომელობითა წმიდათა წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, წმიდისა მოციქულთასწორისა, განმანათლებელისა ჩვენისა ნინოსითა, დიდისა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედისა, წმიდისა დიდისა ძლევაშემოსილისა გიორგისათა, წმიდისა ილია წინასწარმეტყველისა, დიდთა მონაშეთა ნიკიტასა და ევსტატესი, მეოხებითა ღიზსთა და ღმერთშემოსილთა მამათა, ყოველთა წმიდათა და ყოველთა ზეციურთა ძალთა. ამინ.

1985 წ.



**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
უწმინდესისა და უნეტარებისა ილია II ლოცვა
წაკმობიქმული სინას მთაზე**

მამათ სახიერო, გვედრები სახელითა ძისა შენისათა, ნუ განეშორები ერსა ჩვენსა შეცოდებათა გამო ჩვენთა; მოგვიძიენ, ვითარცა მამაი მოიძიებს ძესა თვისსა წარწყმედულსა; შეგვინდე უწმუნებათა გულფიცხელობაი, ამბარტავნებაი, შური და ვერცხლისმოყვარებაი. გააჯებით, აღნოცენ ცოდვანი ჩვენნი და განკურნენ სულნი ჩვენნი ვნებულნი. მოგვმადლე საწმუნთებაი ჭეშმარიტი, ძალი წყლისაი და ძლიერებაი ცეცხლისა, აღგვაგსე მადლითა ყოვლადწმიდისა სამებისა; საწმუნთებასა და სიყვარულსა შინა შენსა, სულიერად განამტკიცე მთავრობა ჩვენი; გვაკურთხე მშვიდობითა, უფალთ, მოგვფინე სული წმინდისაი, თავმდაბლობისაი და მოთმინებისაი.

განამრავლენ შვილნი და შვილთა შვილნი ჩვენნი, გული წმიდაი დაბადე მათ შორის, სული წრფელი განუახლე გვამსა მათ შინა.

აკურთხე გვირგვინი ქორწინებულთა და სიყვარულითა განამტკიცე კავშირი მათი, ცოდვანი სიჭაბუკისა და უმეტრებანი შეუნდე და ნათელ ჰყავ მომავალი მათი.

სრულასაკოვანთა მოჰმადლე გული ბრძენი და მოწყალე, გონე-

ბა სალი, რათა გიჯნან შენ და აღასრულონ ნებაი შენი.

გვედრები უფალო, განუნათლე გონება მეცნიერთა, მწერალთა და ხელთვანთა ჩვენთა, დალოცე საქმე მათი, რათა იქმნას ნაღვაწი მათი საკეთილოდ ქვეყნისა, რათა შრომით თვისითა გემსახურონ შენ, ემსახურონ ერსა შენსა ივერიისასა.

დალოცე ჩვენი მშრომელი ხალხი, ყოველი მაშვრალი და ტვირთ-მძიმე, დიდი ზრუნა, სიყვარული და სიწმინდე მიანიჭე მათ.

1999 წ.



**კლევფუმოსილსა, საკვიკველმოქმელსა,
ბოკოტის დამთავრებულსა, დიდსა მოწამესა,
წმიდსა ნათელ ბოკოტის**

*(სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II
მოკრძალებული თხოვნა)*

ტყვეთა განმათავისუფლებლო, ტანჯულთა შემწეო, უძლურთა მკურნალო და მწუნარეთა ნუგეშინისმცემელო, ქართველთა დიდო იმედო, ძლევამომსილო წმიდაო გიორგი, მე, მსასთებელი შენი, ილია II, წყალობითა და განგებითა ღვთისათა კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსი, გვედრები, აწ და მარადის

იყავ წინამძღვარ ქართველთა ერისა და მფარველ ეკლესიისა ჩვენისა.

შენ ბრძანდები თლითგანვე ერისმთავარი ჩვენი; ნუ დაიფიწყებ ერსა შეცოდებულსა; მეონ გვეყავ, რათა უფალმან შეგვინდოს და განკურნოს უძლურებანი სულთა ჩვენთანი; გვიხსნას უჩრწომუნობისა, ამპარტყაფნებისა და შურისაგან, ღვარძლისა, მტრობისა და ცილისწამებისაგან, ვერცხლისმთყვარეობისა, ურთიერთშუღლისა და წყენისაგან, სიძვისა, პატივმთყვარეობისა და სხვათა ქონების მითვისებისაგან და მოგვიტეოს უმეცრებანი ჩვენნი: ეკლესია-მონასტერთა ნგრევა, კერბთაყვანისმცემლობა, ცრუმთწმუნება...

შესთხოვე უფალსა, რათა მოგვმადლოს ჭემპარიტი მართლმადიდებელი საწმუნება, სასოება და სიყვარული, მოგვანიჭოს გზძობები წმიდა და სული წრფელი; გაგვიხსნას გულისყური შეწევნად ქვრივთა, თბოლთა, მწირთა და ყოველთა გაჭირვებულთა, განამრავლოს ურთიერთმოძის სათნობანი და საქმენი კეთილნი.

დიდმოწამეთ ვიოზგი, განგვინათლე გონება, რომ ვცნათ უფალი, ვითარცა გზა, ჭემპარიტება და სიცოცხლე; აღგვაფე ღვთაებრივი სიბრძნითა, რათა ყოველითა აჩსებითა შევიყვართთ შემოქმედი, მთყვასი, მამული და ენა ჩვენი; ჰყავ გულნი ჩვენნი ღმობიერ და ურთიერთ ცოდვათა მიმტევებელ; მოგვიძიე და შეგვეკრიბე ქრისტეს წმიდა ეკლესიაში.

სასოებით შეგვედრებ ხალხსა ჩემსა, ქრისტეს გვირგვინოსანო

მხედარო ვიოტგი; წმიდითა მახვილითა შენითა მარად დაგვიცვე და დაგვიფარე ბოროტთაგან და ყოველთა ძვირთა საქმეთა მათაგან; ხოლო ჟამსა განკითხვისასა შუამდგომელ გვყავ წინაშე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა, რათა ღირს ვიქმნეთ მოპოვებად საუკუნისა ცნობებისა.

მხურვალითა გულითა შეგთხოვ, შეეწიე საუკუნითან გარდაცვალებულთა მამათა, დედათა და ყოველთა წინაპართა ჩვენთა და დასჯილნი სულნი სატანჯველთაგან იხსენ.

მუხლმოდრეკილი გვედრები, წმიდაო ვიოტგი, ნუ უგულებელყოფ ვედრებასა ჩემსა, აკუთხე ერი ქართველთა და წმიდა ეკლესია მისი; მთილე წყალობა ჩემ ცოდვილსა ზედა, რამეთუ მძიმეა ჯვარი ჩემი; შემიწიე და დამიცევ მადლითა შენითა, უძლეველთ.

ჩვენთან არს ღმერთი!

შენი სულიერი შვილი,
ძალისაებრ ჩემისა აღმსრულებელი ნებისა შენისა
მდაბალი **ილია II**



**მსოფლიოს დიდსა მოკვასსა სასწაულთმოქმედსა
და მსწკაფლუმწესსა, მიკონ-ლუკიის
მთავარმკვიდროსსა, წმიდსა ნიკოლოზს**

*(სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II
მოკრძალებული თხოვნა)*

წმიდათა შობის საკვირველო, დიდო სასწაულთმოქმედო, მონწყა-
ლო ჩვენო მამათ ნიკოლოზ, მე, მდაბალი მორჩილი ილია II, განგებო-
თა და ნებითა ღვთისათა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პა-
ტრიარქი, ჩემი ერისა და ეკლესიის სახელით შეგივრდები და გევედრე-
ბი: უწინამძღვრე და მარადჟამს იყავ მფარველი საქართველოს წმიდა
ეკლესიისა და ქართველი ხალხისა, რათა ერსა ჩვენსა აწ და მარადის
ქრისტეს გზით ევლთს; მოგემადლე საზწმუნოება ჭეშმარიტი და სიყ-
ვარული შეუთრგულებელი. დაგვიცვე ხილულ და უხილავ მტერთა-
გან, უწმიდურ ზრახვათა და უკეთურ საქმეთაგან, გვინსენ ღვთის
გმობისა და უარყოფისაგან, ამპარტაყნებისა, შურისა და დიდებისმოყ-
ვარეობისაგან; ურთიერთმტრობისა, განკითხვისა, ცილისწამებისა და ვერ-
ცხლისმოყვარეობისაგან; სიცრუისა, სიძულვილისა, აზგარებისა და ცუდ-
მეტყველებისაგან.

მოგვანიჭე განცდა ცოდვათა ჩვენთა, სიმდაბლე და მოთმინება,
გული სახიერი და წრფელი, რათა ვინილთო უფალი და დაემკვიდროს
იგი ჩვენ თანა. მოილე წყალობა მწყალობელი: სოფელს მშვიდობა მო-
ჭფინე და კაცთა შობის სათნობა დახერგე; განახალე და მოქმედყავ
ეკლესია-მონასტრები ჩვენი, სადიდებლად ღვთისა; განახალენ, დაიფარე

და დაიჯვე ყოვლად-სამღვდელონი, ბებ-მონთონნი და მღვდელმთავარნი... ქართველნი განამრავლენ, მოგვიტყვევენ უშჯღუღლოებანი ჩვენნი და ღეთის კალთის ქვეშ შეგვეკრებე, რათა ერთი სამწყსო ვიყოთ და მწყემსი მხოლოდ უფალი იყოს.

წმიდათ მღვდელმთავართ და მსწრაფლშემწეთ ნიკოლოზ, მსურვალითა გულითა შეგაფედრებ წაბსულთა ჩვენთა წინაპართა, მეფეთა, დედოფალთა, კათოლიკოს-პატრიარქთა, მღვდელმთავართა, ბებ-მონთონთა და ყოველთა სამღვდელო და სამონთონო წესით აღსრულებულთა, ერისმთავართა, მწერალთა, მეცნიერთა, აღმშენებელთა ეკლესია-მონასტერთა, მათ შინა მშობელთა, მხედართა და მხედართმთავართა, ბბძოლის ველზე მომწყდართა, წმენისა და მამულისათვის თავდადებულთა და საუკუნითგან გარდაცვალებულთა ქართველთა; მოიხილენ იგინი და ეყავ მეოხად წინაშე წმიდისა სამებისა, რათა წყალობითა ღმრთისაითა დაბიკვიდრონ სავანე მართალთა. ხოლო ჩვენ ყოველთათვის შესთხოვე შემოქმედსა, ქრისტიანული მშვიდობითი აღსასრული მოგვანიჭოს და ჟამსა განკითხვისასა გვიხსნას საუკუნო სიკვდილისაგან.

მსასოებელთა შენთა შემწეთ, მომძადლე მე უღირსსაცა ძალა, რათა ყოვლითა გულითა და გონებითა ჩემითა ვემსახურო უფალს, ეკლესიასა და ერსა ჩემსა.

მუნღმოდრეკით გამოვითხოვე შენს წმიდა ლოცვა-კურთხევას.

ჩვენთან აზს ღმერთი.

მთწმილი და მარად მადიდებელი შენი

მდაბალი **ი ლ ი ა II**



**მის უწმინდესობას და უნეტარესობას, ყოველთა ქართველ-
თა მიტონლუპიის მთავარკამისკოტოსს, ყოველთა
ქართველთა დიდსა კათოლიკოს-კატკინაჲს**

თქვენთ უწმინდესობავ და უნეტარესობავ, ყოველთა ქართველ-
თა სულიერთ მამავ და დიდთ მოძღვართ!

ქართველი ერისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკ-
ლესიის სახელით ვეამბობები შენს წმიდა მარჯვენას და სიმ-
დაბლით თაყვანსა გცემ შენ. გვედრები, დალოცე, გააძლიერე,
გამთლიანე და დაამშვიდე სამწყსო შენი, სრულიად საქართველო.
გვედრე მაცნოვანსა ყოველთასა, რათა სახელები ყოველთა ქართველ-
თა აღნუსნოს წიგნსა მას შინა ცნოვრებისასა და რათა მეოხებითა
შენითა და მფარველობითა ყოველადწმიდისა დედისა ჩვენისა ღვთისმ-
შობელისა დაცუულ იქმნას ერი ჩვენი მზაკვრებისაგან ბოროტისა და
ღირს გვეყენ ჩვენ დამკვიდრებად სასუფეველსა ცათასა.

ქართველი ერი სიმდაბლით გიძღვნის შენ, თქროს პანაღისა
წმიდისა დიდისა მეფისა დავით წინასწარმეტყველისა, რომელიც
ბრძანდება წინაპარი საქართველოს ბაგრატიონთა გვარისა.

შენი მორჩილი და სულიერი შვილი.

ილია II



წმიდა ილია მკითლისაღმ (ჰაგჰაგამე)

წმიდათ ილია, მსგავსებაჲ ღვთისა და აჩრდილოთ ერისა, მადიდებელთ ჩვენი ქვეყნისა, დიდება შენდა, ზომელმან მოგვეფინე ნათელი გზისა.

ღვაწლითა და სისხლითა შენითა უდაბნოთ იგი სოფლისა მთიმუშაკე და გონებითა ღვთიებზწყინვალითა დაცემულნი კვალად აღგვაღვინენ, ჭემარბიტება სთესე და გვირგვინი უკვდავებისა მთიბოვე; სიმარტლისათვის დაითმინე და ზესთასთფელი დიდებისა დაიმკვიდრე, ძეთ ქართველთა ერისათ, ერისათვის წამებულთ, წმიდათ ილია მართალთ, ყოვლად დიდებულთ, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ძმათა შენთათვის, შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

ღვაწლითა და სისხლითა შენითა უდაბნოთ იგი სოფლისა მთიმუშაკე და გონებითა ღვთიებზწყინვალითა დაცემულნი კვალად აღგვაღვინენ; ჭემარბიტება სთესე და გვირგვინი უკვდავებისა მთიბოვე; სიმარტლისათვის დაითმინე და ზესთასთფელი დიდებისა დაიმკვიდრე; ძეთ ქართველთა ერისათ, ერისათვის წამებულთ, წმიდათ ილია მართალთ, ყოვლად დიდებულთ, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ძმათა შენთათვის, შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.



ლოცვა აჭარისათვის

უფალო ღმერთო, მამათ ყოვლისა მპყრობელო, ქეთ მხლელღმობილო იესო ქრისტე სახიერო და კაცთმოყვარეო, სულო წმიდაო ნუგეშინისმცემელო, სამებათ ერთაბრებათ და განუყოფელო აცხოვნე ერი შენი, აკურთხე სამკვიდრებელი შენი, რათა ვადიდებდეთ და უგალობდეთ ყოვლადაჭითსანსა სახელსა შენსა.

სამებათ ყოვლაღწმიდაო, ღმერთო მამათა ჩვენთათ „რომელი ჰყოფ მარადის ჩვენზედა კეთილსა სახიერებასა შენისასა“, შეისმინე ჩვენ ცოდვილთა ვედრება და შეგვიწყალენ ჩვენ. შენ შეგივრდებით უფალო და გზადით სახიერო, მოხედენ ღვთივდაცულსა ერსა ჩვენსა და გარეშებლადე მპყრობელობანი მისნი, შენდამი წამებულთა სისხლით მოწყული აჭარის მიწა-წყალი და მკვიდრნი მას შინა დაიცევე ყოვლისაგან მტერისა, ბოროტებისა, სიძულვილისა და უსჯულთებისაგან.

სიტყვათ ღვთისათ, იესო ქრისტე, აღთქმისაებრ შენისა იხილე და მოხედე ერსა ამას „საწებურთს“ და განამტკიცე ესე „რომელ დაასხა მარჯვენემან შენმან.“

მზავალმოწყალეო უფალო, მოიხსენე წმიდა სამსხვერპლო შენი, რომელ დაითრგუნა უსჯულთთა მიერ, მოიხსენე სისხლი მონათა შენთა, წინაპართა ჩვენთა, საუკუნითგან აჭარაში მოწყვეტილთა და პირველნათლობით გაბრწყინებულსა კუთხესა ამას მოჰმადლე განცდა თვისთა ცოდვათა, ნიჭი და ძალი ცნობად ჭემმარიტისა საწმუნთებისა.

ყოვლაღწმიდაო ღვთისმშობელო, შემწეო ჩვენო, რომელმან ნებისაებრ

ღვთისა მთავლინე უპიზველესი მოციქული ანდრია, ნათლობის ემბაზსსა შინა განბანე აჭარბა და საკვირველითა ხატითა შენითა მუნ აღმოაცენენ წყარონი კურნებისანი, ეგრეცა დღეს მოწყალეთ დედუფალო, აღმოადინენ დაუწყვედელნი წყარონი მადლისანი და მოტწყენ გულნი აქა მცნოვრებთანი საწმუნებითა, სასთებითა და სიყვარულთა.

გვწამს უფალო და ვუწყით წმიდა სახელი შენი და შენსა ვაძეშე, სახიერ, სხვა ღმერთი არა ვიციო. ამისათვის მარადის შენ წინაშე მლოცველნი და მომლოდნელნი წყალობისანი გზადით და გვედრებით: მეონებითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისათა, წმიდათა დიდებულთა მოციქულთა ანდრია პირველწოდებულისა და მატათასითა, მეონებითა ღიბსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩვენთა და წმიდათა მოწამეთა თავდადებულთა წინაპართა ჩვენთა აჭარბაში მოწყვეტილთა და ყოველთა წმიდათა შეგვიწყალონ და გვიხსენ ჩვენ, ვითარცა სახიერ ხარ და კაცთმოყვარე. ამინ!



ლოცვად წაკითხული აღსაკება, სინანულის დღეს, სეპტიცხოველში 1999 წლის 25 დეკემბერს

დაუსაბამოთ და დაუსრულებელთ, უნილავო და მიუწვდომელთ, უძლეველთ და მოწყალეთ, სიყვარულთ და სასთებათ ჩვენო, წმიდაო, წმიდაო უფალო საბათო, შემოქმედო ცათა და ქვეყანისათ, დიდება შენდა.

ქეთ ღვთისათ, უფალო იესო ქრისტე, თანაბრსო და თანასწორსო მამისათ, სიტყვათ, მამისაგან მხლოდმობილო, ჩვენთვის განკაცებუ-

ლო, ჯვარტკმულო, მკვდრეთით აღდგომილო და ამალლებულო, მეორედ მოსვლისას წყალობით განმკითხველო ჩვენო, – დიდება შენდა.

სულო წმიდაო, უფალო, მამისაგან გამოძავალო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ადავსებ მადლითა შენითა, უძლურთა მკურნალო და ნაკლულეევანთა აღმავსებელო, – დიდება შენდა.

ყოვლადწმიდაო სამებაო, ერთაზსებაო და განუყოფელო, ერთღვთაებობით თაყვანისცემულო, აზსთავამზიგეო, – დიდება შენდა.

„შენ გიგალობთ, შენ გაკურთხევთ, შენგმადლობთ, უფალო, და გევედრებით შენ, ღმერთო ჩვენო“.

„განლებულ არს კარს სინანულისაი, შევიდეთ მას შინა, ძმანო, შევინანეთ შეცოდაბანი ჩვენნი, რათა მიერ გამოვიდეთ წმიდანი ხოტჯითა და განათლებულნი სულითა“ (იოანე მინჩხი).

ყოვლადწმიდაო სამებაო, რომელსა გაქვს ხელმწიფება ცოდვათა მიტევებისა, შეგივრდებით უხმარნი მონანი და მხევალნი შენნი და სრულიად საქართველოსა და ჩვენთა წინაპართა სახელით გევედრებით, მოგვანიჭე განცდაი ცოდვათა ჩვენთა და არა განკითხვა ძმისა ჩვენისა. წინაშე შენსა მოვიდრეკო მუხლთა სულისა და ხოტჯთა ჩვენთასა, აღვიარებთ უსჯულთებათა ჩვენთა, და ვთხოვთ, მოწყალებით შეგვიხდე ჩვენ და ჩვენთა წინაპართა მზავალნი ცოდვანი ჩვენნი. მიუტევე ეზსა ჩვენსა პირველი და უმძიმესი ცოდვა – ამპარტავნება. ქედმაღალნი ვიყავით და ვართ, ვითრცა ცარციელი თავთავნი პურისანი და მარად ვივიწყებთ დარბიებასა

ბრძენისა სოლომონისასა: „**ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცემს მადლსა**“ (იფაინი 29,23). „**დაღუპვას წინ უსწრებს ამპარტავნება, დაცემას ქედმაღლობა**“ (იფაინი 16, 18);

უფალო, განგვეკურნე ჩვენ ამ სენისაგან და შეგვიწყალებნ ჩვენ. უფალო, შეგვინდე და გვაბაჭიე შენგან განდგომა და უბრუნობა, ტაძრებისა და მონასტრების ნგრევა, ეკლესიის შეურაცხყოფა, მართლმადიდებელი საზღვარების უაზროება შეგვინდე, შეგვინდე უფალო სასულიერო პირთა და ბერ-მონაზონთა დევნა და დამცირება. გვაბაჭიე ღმერთო, სამშობლოს ღაღატი და თრგულობა. კაცთა კვლა, ძმთა სისხლისღვრა, დედათა მიერ ჩვილთა მუცლადმოწყვეტა. დიდად გცოდნეთ უფალო მრუშებით, მეუღლისა და თჯახნის ღაღატი, მეძაობით და სწვათა ბილწითა ცოდვათა და ვნებათა აღძრვით. მოწყალებით შეგვინდე და გზათა სინანულისა და სიწმინდისათა დაგვადგინე ჩვენ.

გცოდნეთ, უფალო, მშობლების მიმართ უპატივცემულობით, შეურაცხყოფითა და გულგრილობით და დავივიწყეთ გაფრთხილება ესე შენი: „**წყულომც იყოს დედ-მამის შემავინებელი**“ (მეორე სჯული 27,16) – როგორც ბრძანებს მეფე სოლომონი. ვცოდნეთ უფრთხეობის დამწინებით, განკითხვით, გარდაცვლილთათვის ულოცველობით და დაუფასებლობით.

ვცოდნეთ აზარშიდა ფიქრით, ცილის წამებით, შურით, მეგობართა მიმართ ღაღატი, სიძულვილით, ფიცის გატენით, შფოთით, მრისხანებით, შურისძიებით, სწვისი ქონების მიტაცებით, სინარბით,

ქუჩდობით, ძალადობით, სიმდიდრის სიყვარულით და მასზე იმედის დასყარებით; შეგვიხდეთ და გვაპატიე უფალთ: ლოთობა, ნარკომანობა, მტრობა და ღვაძლი, სხვისი ნაკლისა და ცოდვების განკითხვა, ეგონიმი, გემთმომყვარებობა, ქონებისა და ფულის უაზრო ფლანგვა, გაჭირვებულთა დაუხმარებლობა, პატივმოყვარებობა, პირადი განდიდების სურვილი; ღმერთთ მოწყალეთ, ვცოდეთ უსაქმობით, დაზარებით, უიმედობით, აღსარებისა და ზიარების გარეშე ცნოვრებით, მკითხავთა დაჯერებით, თონშაბათ-პარასკევის და სხვა მარწვრთა დარღვევით, შაბათ-კვირას და დღესასწაულებზე წირვის გარეშე ყოფნით, თვითმკვლელობაზე ფიქრით, შვილებისა და სხვა ადამიანების წყევლით, შვილების ჭეშმარიტი რწმენისა და სულიერების გარეშე აღზრდით, არაეკლესიური, ამათ ცნოვრებით და სხვა მრავალი ცოდვით.

ჩვენცა, უფალთ შენთა მსახურთა – სასულიერო პირთა გვაპატიე არაღიწესებისამებრ მსახურება შენი და განგვიხდეთ ჩვენ. ჰოი, უფალთ მუხლმოდრეკილნი გვედრებით ჩვენთა წინაპართა, სრულიად საქართველოსა და ყოველთა ქართველთა სახელით, მკვიდრთა საქართველოსა და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მყოფთა ჩვენთა თანამემამულეთა სახელით, და შეგონოვთ, შეგვიწყალე ჩვენ დიდთა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალეობითა შენითა აღზოცენ უსჯულთებანი და ყოველნი ცოდვანი ჩვენნი. მარჯვენითა შენითა გვასხურე უსუბითა, რათა უფრთს თოვლისა განვსპეჯაკნეთ. შეახე ყოვლადწმიდა ხელი შენი სულსა და ხორცსა ჩვენსა, გულისა და

გონებასა ჩვენსა და განწმიდე ივინი. მწყემსო კეთილო, რომელმან გვზარდე, გვასწავლე გვწუთონე წელნნი ათასეულნი და მზავალთა განსაცდელთაგან საკვირველად გვიხსენ. აწცა მოგვხედენ მოწყალეებითა. შეჭირვებულნი გვეედრებით, აღადგინე და განამტკიცე სანღვარნი საქართველოსანი, დალოცე მამული ჩვენი და ყოველი მკვიდრი მიწისა ამის. მტერნი და მებრძოლნი ჩვენნი მოყვარედ მოაქციე. მოგვეც მოწყალეო, სიბრძნე, თავმდაბლობა, სინარული, გული გონიერი, უნარი ცოდვათა მიტევებისა. შთავგაცვი სამოსელი სპეტაკი ნათლისღებისა შენისა და შეგვარტყი ძლიერებაი შენი, რათა ვიყოთ ჩვენ ყოველნი ერთ სამწყსო და შენ იყო მწყემსი ჩვენი. უფალო ჩვენო, გულთამზილველო, ისმინე და შეიწირე აღსარებაი ჩვენი მეთნებითა ყოველადწმიდისა დედისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და ყოველთა წმიდათა შენთა. ჭეშმარიტად, ცოდვათა ჩვენთა ზღვა აღძრულ არს და დანთქმასა გვიქადის, მაგრამ შენზედა მონდობილნი უფალო ვსასთებთ, რომ ჩვენზეც აღსრულდება ნათქვამი შენი: „**მეწამულიც რომ იყოს თქვენი ცოდვები, თოვლივით განვასპეტაკო; ჭიაფერივით წითელიც რომ იყოს, მატყლის ფთილასავით ვაქცევო... ნისლივით წარვზოცავ უმჯულოებათა შენთა და ღრუბელივით – ცოდვათა შენთა**“ (ისაია 1,18; 44,22). აჰა, უფალო დაგიბრუნდით. აი სინანული ჩვენი, შენნი ვართ. გვაცხოვნე ჩვენ სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმინდისა სულისათა. ამინ!



დიდება შენდა, უფალო, მაცხოვარო ჩვენო, რომელი განცდასა ჩვენთა ცოდვათასა მოგვანიჭებ და დაცემულთა აღგვაღვინებ!

იღება შენდა, უფალო, რომელი აღგვაგებს ჩვენ მადლითა ჩვენ მადლითა შენითა და გვაზიარებ საუკუნო ნეტარებასა შენსა!

დიდება და მადლობა შენდა, უფალო, რომელი აღგვაგებს სინაბრულითა, სიყვარულითა და იმედითა შენითა!

გინაბოდენ, ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, შეგენიერო შროშანო, რომლისაგან გამობზწყინდების მაცხოვარი.

გინაბოდენ, რომლისა მიერ წყევაი მოაკლდების, გინაბოდენ, სიწმინდისა ტაძარო, ძისა სენისა მადლისა მომფენელო.

ლოცვა დართული აქვს პატრიარქის
2010 წლის საშობათ ეპისტოლეს



ოჯახის ლოცვა

მეონებითა ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა, მთავარანგელოზთა მიქაელისა და გაბრიელისა, ყოველთა ზეციურთა ძალთა და ყოველთა წმიდათა.

უფალო, დაიცვე სახლი ესე და მკვიდრნი მას შინა ბოროტისაგან და ყოველთა საჭმეთა მისთაგან სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისათა, ამინ!

ღმერთო ძლიერო, შენ აკურთხე თჯახნი ესე. განამტკიცე და განამზავლე ისინი, მოანიჭე ჭეშმარიტი სარწმუნოება, მშვიდობა და სიხარული, სიყვარული და სულგზძელება, რათა წარემართოთ ყოველ კეთილ საქმეთა ზედა და იხარონ თქსავ სოფელსა შინა, ამინ!



ლოცვა პატრიარქის ნათლუთათვის სახელთა ვამისათა და ძისათა და სულისა ჳინდისათა

ღმერთო ძლიერო, ყოვლადწმიდაო სამებაო, დალოცე და ჩვენი ქვეყნის ერთგულ შვილად აღზარდე ნათლული ჩემი. მიანიჭე მას სიყვარული შენი და მოყვასისა; მიმადლე მრავალჟამიერი სიცოცხლე და სიბრძნე, სიმრთელე სულისა და ნორცისა, გული წმიდა და სული წრფელი, განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა თვისისა; მიეც თავდაბლობა და სიმშვიდე, შრომისმოყვარეობა და ერთგულება, მტკიცე და მრავალშეილიანი თჯახნი და პატივისცემა მშობელთა, რათა კეთილი იყოს და დღეგზძელი იყოს იგი ქვეყანასა ზედა.

უფალთ და მეუფეთ, დაიფარე ნათლული ესე ჩემი საფარველსა ქვეშე ფრთეთა შენთასა; წარსდევნე მისგან ყოველნი მტერნი და მბრძოლნი მისნი და იცხთვნე სული მისი, ვითარცა სახიერ ხარ და კაცთმოყვარე. ამინ!

